საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1173-02
06/05/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის , ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე კომპიუტერული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2019 წლის 7 მარტის N1 გაერთიანებული სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რექტორის 2019 წლის 25 თებერვლის ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მენეჯმენტის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე კომპიუტერული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N432-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 თებერვლის N2 და 2019 წლის 30 აპრილის N4 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2019 წლის 6 მაისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე კომპიუტერული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **კომპიუტერული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **ნანა დიხამინჯია.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი